



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY



განკარგულება:გ-135. 135242713

თარიღი:27/09/2024

**მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში
შემავალ სოფელ კაერსა და სოფელ სოლში სახელწოდების არმქონე
ცენტრალური ქუჩის არაბული ციფრებით სახელდების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7-მე-8 პუნქტებისა და ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-15-მე-17 პუნქტების შესაბამისად,

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. განხორციელდეს მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ კაერისა და სოფელ სოლში სახელწოდების არმქონე ცენტრალური ქუჩის სახელდება არაბული ციფრებით დანართი №1-ით განსაზღვრული ობიექტების შესაბამისად და თანდართული სიტუაციური რუკების გამოყენებით (დანართები №2; №3).
2. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გადაეგზავნოს: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.
3. განკარგულება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება გაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას და საჯაროდ გამოქვეყნდეს მესტიის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე <https://mestia.gov.ge>
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N-12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



